საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 337 2017 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 მარტის №116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 მარტის №116 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 07/03/2017; 010240010.10.003.019825) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის:

ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, საჯარო სამსახურში იღებს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირებს;“;

ბ) მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა

სტრუქტურა, თანამდებობა	**რაოდენობა**
სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები	
სახელმწიფო მინისტრი	1
სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1
პროფესიული საჯარო მოხელე	
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	3
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	3
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	4
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	13
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	
სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე	1

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე	1
სულ:	31

“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი